კევინ კარტერის ფოტოს ამბავი:

სამოქალაქო ომი, პროფესიული მოვალეობა და საზოგადოების კრიტიკა

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

ფოტოგრაფები, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით კონფლიქტურ ადგილებში მუშაობენ, ხშირად არიან სისასტიკის, ომის დანაშაულების, ტანჯვისა და ადამიანური ტრაგედიების თვითმხილველნი. მათი, როგორც ფოტოდოკუმენტალისტების, მიზანია ნებისმიერ სიტუაციაში, საფრთხის მიუხედავად ფაქტების წამიერი დაფიქსირება. თუმცა საზოგადოების მხრიდან ყოველთვის განსჯის საგანია, თუ რის თქმას ცდილობს ფოტოგრაფი თავისი ნამუშევრით: აჩვენებს ის ობიექტურ რეალობას თუ ფაქტის მიმართ სუბიექტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს.

როგორც წესი, ფოტოს გადაღებითა და გავრცელებით სამი სხვადასხვა სუბიექტი არის დაინტერესებული. 1. ფოტოგრაფი, რომლის მიზანი უნდა იყოს რეალური ფაქტების ჩვენება; 2. ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, რომლებიც ფოტოს გამოქვეყნებაზე გადაწყვეტილებას იღებენ; 3. საზოგადოება, რომელიც ფოტოს წყალობით ფაქტის მოწმე ხდება.

1993 წელს სუდანში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. ომის მსვლელობას თან ახლდა უამრავი უდანაშაულო ადამიანის გაუსაძლისი ყოფა. მოსახლეობა, განსაკუთრებით კი, ბავშვები და მოხუცები შიმშილობის გამო იხოცებოდნენ. ურთულესი ვითარების გათვალისწინებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერომ) ჰუმანიტარული დახმარების ოპერაცია შეიმუშავა და სუდანში მოქმედება დაიწყო[1]. სამოქალაქო ომს სხვა ფოტოგრაფებთან ერთად კევინ კარტერიც აშუქებდა. ის ფოტოგრაფთა გაერთიანება The Bang Bang Club-ის წევრი იყო. ამავდროულად, კარტერი სხვადასხვა მედიასაშუალებებთან თანამშრომლობდა და სააგენტოებს ფოტოებს უგზავნიდა. სუდანში ყოფნისას კევინ კარტერმა სამოქალაქო ომის სისასტიკის ამსახველი არაერთი ფოტო გადაიღო, მაგრამ სენსაციური მხოლოდ ერთი აღმოჩნდა.

შიმშილისგან ღონემიხდილი ბავშვის ფოტო The New York Times-მა 1993 წლის 26 მარტს გამოაქვეყნა. ფოტოზე აღბეჭდილია მცირეწლოვანი, შიმშილით დასუსტებული ბავშვი, რომლის შორიახლოსაც სვავი ჩანს. მაყურებელს ექმნება შთაბეჭდილება, რომ მტაცებელი ფრინველი მსხვერპლს უსაფრდება და ხელსაყრელ მომენტს ელოდება, რათა ბავშვს თავს დაესხას. ფოტოს „მოშიმშილე ბავშვი“ ჰქვია და ამ ნამუშევრისთვის 1994 წელს კევინ კარტერმა „პულიცერის პრემია[2]“ მიიღო[3]. ფოტოს გავლენა პუბლიკაზე იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ადამიანები გაზეთის რედაქციაში რეკავდნენ და ბავშვის ბედით

[1] https://digitallibrary.un.org/record/136104?v=pdf
[2] კოლუმბიის უნივერსიტეტის ყოველწლიური პრიზი ჟურნალისტიკაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში მიღწევებისთვის.
[3] https://www.pulitzer.org/prize-winners-by-category/217

ინტერესდებოდნენ[4]. მალევე დაიწყო ფოტოგრაფის კრიტიკაც, რამაც კევინ კარტერი მძიმე დეპრესიაში ჩააგდო. საზოგადოებას და, მათ შორის მედიას, ფოტოგრაფის მისამართით მხოლოდ ერთი შეკითხვა ჰქონდა: რა მოიმოქმედა მან ფოტოს გადაღების შემდეგ? ადამიანები კარტერისგან მოელოდნენ პასუხს, რომ მან ბავშვს დახმარება აღმოუჩინა. თუმცა ეს ასე არ მომხდარა[5]. კევინ კარტერმა მხოლოდ პროფესიული მოვალეობა შეასრულა.

[4] გრეგ მარინოვიჩი, ჟოაო სილვა, „The Bang Bang Club", გვ.119-120
[5] გრეგ მარინოვიჩი, ჟოაო სილვა, „The Bang Bang Club", გვ. 151-152

სამუშაო ფურცლები

საკითხი N1 - კევინ კარტერი და „მოშიმშილე ბავშვი“

1. რა ინფორმაციას აძლევს ფოტო მაყურებელს შექმნილი ვითარების შესახებ?
2. თქვენი აზრით, რამ აქცია ფოტო სენსაციად?
3. შეეცადეთ, გააკეთოთ ფოტოს კომპოზიციის ანალიზი. აღწერეთ ფოტო და განსაზღვრეთ რაკურსი, ხედვის წერტილი, ფიგურების ურთიერთმიმართება; ისაუბრეთ ფოტოთი გამოწვეულ განწყობასა და ემოციებზე.
4. თქვენ რას ფიქრობთ კევინ კარტერის შესახებ: თანაუგრძნობთ თუ აკრიტიკებთ მას? რატომ?

საკითხი N2 - ფოტოგრაფის პროფესიული მოვალეობა

1. თქვენი აზრით, რა ამოძრავებს ფოტოგრაფს, როდესაც მომენტის აღბეჭდვისთვის საკუთარ სიცოცხლეს რისკავს?
2. თქვენი აზრით, რა არის ფოტოგრაფის მთავარი მოვალეობა, როდესაც ის ომს აშუქებს?
3. თქვენი აზრით, რა პროფესიული უნარები უნდა ჰქონდეს ფოტოგრაფს, როდესაც ომის ეპიცენტრში იმყოფება?
4. თქვენ როგორ მოიქცეოდით, კევინ კარტერის მსგავს სიტუაციაში რომ აღმოჩენილიყავით?

საკითხი N3 - ფოტო და მედია

1. თქვენი აზრით, რა მიზანი აქვს რედაქტორს, როდესაც ბევრი ფოტოდან მხოლოდ ერთს ირჩევს გამოსაქვეყნებლად?
2. თქვენი აზრით, რატომ შეიძლება იყოს ბეჭდური მედიისთვის ფოტო უფრო მომგებიანი, ვიდრე ამ თემაზე მრავალჯერ დაწერილი სტატია?
3. იმსჯელეთ შექმნილ ვითარებაზე: ვისთვის აღმოჩნდა გამოქვეყნებული ფოტო მომგებიანი და ვისთვის საზიანო?
4. როგორია თქვენი გამოცდილება, სოციალურ ქსელში ფოტოს გამოქვეყნებისას, ფიქრობთ თუ არა პოტენციურ გავლენასა და საფრთხეებზე?

საკითხი N4 - ფოტო და საზოგადოება

1. როგორ ფიქრობთ, რატომ მიანიჭა საზოგადოებამ ფოტოს ამხელა მნიშვნელობა, ასეთი სცენა ხომ მრავალი იქნებოდა სუდანში?
2. თქვენი აზრით, კევინ კარტერის ფოტომ რომელ ჰუმანურ ღირებულებებზე დაფიქრებისკენ უბიძგა საზოგადოებას?
3. იმსჯელეთ გავლენაზე, რომელიც მოახდინა ფოტომ საზოგადოებაზე და საზოგადოებამ ფოტოგრაფზე.
4. ომის ამსახველმა რომელმა ფოტომ მოახდინა თქვენზე გავლენა? რაზე დაგაფიქრათ?